ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 3

20 ნოემბერი, 2025 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

ვალერიან პაპუაშვილი

მიხეილ რეხვიაშვილი

ქეთევან ჭავჭანიძე

ნოდარ ბოკერია

კომისიის სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2026 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (#12-032531815-03)
2. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ არსებული სკვერისთვის **მეფე ერეკლე II - ის** სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სულიკო თორთლაძის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის **სულიკო თორთლაძის I შესახვევის** სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ნადიკვრის III ქუჩის მონაკვეთისთვის, სულიკო თორთლაძის ქუჩისთვის და ერთი შესახვევისთვის **თაბორის მთის** ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ნადიკვრის III ქუჩის მონაკვეთისთვის სპორტსმენის, კალათბურთელის **სულიკო თორთლაძის** სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის IV შესახვევისთვის ისტორიკოსის, აკადემიკოს **ოთარ ჯაფარიძის** სახელის მინიჭების შესახებ.
7. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის I დასახლების VIII შესახვევის მონაკვეთისთვის **ელისაბედ ორბელიანის** I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.
8. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის **მიხეილ გრიგორაშვილის** I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.
9. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩის გავრცელების არეალის კორექტირებისა და ანდრია გუგუშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის **კორნელი სანაძის** სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ წარმოადგინა. 12-032531815-03 წერილით წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 2 082 482,2 ათასი ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 983 178,0 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 99 304,2 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 656 339,7 ათასი ლარი;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 278 531,3 ათასი ლარი;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 292 760,6 ათასი ლარი;

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3 079,5 ათასი ლარი;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 47 491,3 ათასი ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 182 384,4 ათასი ლარი;

განათლება - 300 602,4 ათასი ლარი;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 50 558,8 ათასი ლარი;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 13 196,7 ათასი ლარი;

ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 257 537,5 ათასი ლარი.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის, ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილთან არსებითი შემხებლობა აქვს მისამართის აღმნიშვნელი აბრების დამზადება მონტაჟის მიმართულებით. ხსენებული რესურსები გათვალისწინებულია კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებების პროგრამულ კოდში (02.09.01).

კომისიის მიერ შესწავლილი იქნა 02.09.01 პროგრამული კოდი, რომელიც ქუჩების ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟისთვის გამოყოფილ თანხებს ეხება. ხსენებული სამუშაოებისთვის წარმოდგენილი პროექტით 500 000 ლარია გათვალისწინებული.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, აბრების დამზადება-მონტაჟის სამუშაოებზე ყოველწლიურად 500.0. ათასი ლარი იხარჯება. შესაბამისი სამსახურების მიერ, ხსენებულ პერიოდში განთავსებული აბრების ჩანაცვლების საჭიროება არ დამდგარა, რადგან არ შეიმჩნევა ჟანგვა-კოროზიის ან საღებავის დაზიანების ფაქტები. ყოველწლიურად გამოყოფილი რესურსები კი ამ დრომდე ხმარდება აბრების განთავსებას ისეთ მისამართებზე, სადაც აღმნიშვნელები წლების განმავლობაში არ

ყოფილა ან ქუჩის სახელის ცვლილება განხორციელდა. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინფორმაციით კი დღემდე ათობით ათას მისამართზე არსებობს აბრის განთავსების საჭიროება.

კომისიის მიერ, ბიუჯეტის წინამდებარე პროექტის განხილვის ფარგლებში დამუშავდა რაოდენობრივი ინფორმაცია წლების მიხედვით განთავსებული აბრების შესახებ. 2018 წელს გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ქალაქის მასშტაბით 10 500 აბრა განთავსდა, 2024 წელს კი იგივე ფინანსური რესურსით განთავსდა 5346 ერთეული აბრა. რაოდენობის კლების ტენდენცია ყოველწლიურად შეინიშნება, რაც გამოწვეულია ერთეული აბრის დამზადება-მონტაჟის ღირებულების ზრდით.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია აქტიურ კომუნიკაციაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან, იმ ქუჩათა ნუსხის განსაზღვრის პროცესში, რომლებზეც კალენდარული წლის განმავლობაში უნდა მოხდეს აბრების განთავსება.

გასული წლების განმავლობაში, კომისია ბიუჯეტის განხილვის პროცესში აქტიურად აყენებდა საკითხს 02.09.01 პროგრამულ კოდში ფინანსური რესურსების ზრდის საჭიროებასთან დაკავშირებით, თუმცა შესაბამისი სამსახურებთან ვერ მოხდა შეთანხმება თანხების გაზრდაზე, უარის არგუმენტად კი თანსების ათვისების პროცესის კალენდარული წლის ბოლომდე ეტაპობრივად გაგრძელება დასახელდა.

მისამართის აღმნიშვნელი აბრების დამზადება-მონტაჟამდე, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიერ ხორციელდება ქუჩის სისტემური ნუმერაცია, ხსენებულ სამსახურთან კომუნიკაციით დადგენილია, რომ საჭიროების შემთხვევაში სამსახურს აქვს უნარი ბევრად მეტი შენობა-ნაგებობის ნუმერაცია მოახდინოს, ვიდრე ეს სჭირდება 500 000 ლარით განსათავსებელი აბრის დამზადებას. როგორც აღინიშნა, სააგენტომ 2018 წელს 10 500 მისამართის შემთხვევაში მერიის შესაბამის სამსახურს მიაწოდა შესაბამისი ინფორმაცია.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მოსაზრებით, გაუმართლებელი იქნება გათვალისწინებული რესურსების წლის განმავლობაში გადანაწილების გარეშე, ერთიანად ათვისება. ნუმერაციის განხორციელება დინამიური პროცესია, საკრებულოს მიერ სახელდების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, მოქალაქეთა მომართვები, საველე პირობებში ჩატარებული მონიტორინგი და სხვა არაერთი გასათვალისწინებელი ფაქტორის ერთობლიობით უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახური კონკრეტული სამუშაოების დაგეგმვას. 02.09.01 პროგრამულ კოდში გათვალისწინებული ასიგნებების ათვისება კი ყოველთვის ხდება კალენდარული წლის ბოლომდე, გაუხარჯავი ნაშთის დატოვების გარეშე.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საჭიროდ მიიჩნევს, 02.09.01 კოდში აშრეების განთავსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაზრდას მინიმუმ ინფლაციური და ეკონომიკური ფაქტორებით, ბოლო ხუთ წელიწადში წარმოქმნილი სხვაობის დასაკომპენსირებლად.

კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს გაიოზ თალაკვაძემ ამომწურავი პასუხები გასცა. მან აქცენტი გააკეთა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული პრიორიტეტებზე, ასევე პროგრამებისა და ქვეპროგრამების მნიშვნელობასა და მიზნებზე ისაუბრა.

ლევან აბაშიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხს.

გადაწყვიტეს: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 72-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი" გადასამუშავებლად დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

კომისიის სხდომაზე გარდა დედაქალაქის 2026 წლის ბიუჯეტის პირველადი პროექტის განხილვისა, რამდენიმე ქუჩისა და სკვერის სახელდების საკითხი განიხილეს, რომლებიც სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ წარადგინა.

სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად განხილულ იქნა ისნის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან არსებული უსახელო სკვერისთვის მეფე ერეკლე II-ის სახელის მიჩენების შესაძლებლობა. კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით, აღნიშნული სკვერის მიმდებარედ, მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილის ესკიზის მიხედვით დამზადებული ერეკლე II-ის ძეგლი 2025 წლის 24 სექტემბერს გაიხსნა. ვინაიდან განთავსებული ძეგლი თვისობრივად ცვლის არსებულ ტერიტორიას და სივრცეს განსაკუთრებულ კულტურულ და ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს, მიზანშეწონილია, რომ სკვერს მეფე ერეკლე II-ის სახელი ეწოდოს. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, დედაქალაქში არ არსებობს ერეკლე II-ის სახელობის სკვერი.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

ლევან აბაშიძემ კრწანისის რაიონში ბეჟან კალანდაძის ქუჩის მიმდებარედ განსახორციელებელ სახელდებებთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2013 წელს ხსენებულ ტერიტორიაზე უსახელო ქუჩას ეწოდა სულიკო თორთლაძის სახელი.

სახელდების შემდგომ ხსენებულ ტერიტორიაზე განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები, აშენდა კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი ახალი გზა, რომელსაც მოგვიანებით თაბორის მთის ქუჩა ეწოდა. 2013 წელს სახელდებული სულიკო თორთლაძის ქუჩა ფაქტობრივად გახდა თაბორის მთის ქუჩის გეგმარებითი გაგრძელება. თაბორის მთის ქუჩის გაგრძელებაა ასევე სულიკო თორთლაძის ქუჩასთან არსებული უსახელო მონაკვეთი და ნადიკვრის III ქუჩის ნაწილი. გრგ-1 ფარგლებში წარმოქმნილი უსახელო გეოგრაფიული ობიექტი კი გახდება შესახვევი და მიენიჭება თაბორის მთის ქუჩის შესახვევის სახელი.

კომისიის სხდომაზე სულიკო თორთლაძის ბიოგრაფიაზე ისაუბრეს. იგი იყო კალათბურთელი, დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე. კომისიას მიზანშეწონილად არ მიიჩნია მისი სახელის გადარქმევა. ლევან ჯაფარიძის ინფორმაციით, საკითხთან დაკავშირებით, კომისიამ კონსულტაციები გამართა კრწანისის რაიონის მაჟორიტარ წევრთან, ლევან ჯაფარიძესთან. მისი მოსაზრების გათვალისწინებით და კომისიის წევრების თანხმობით, გადაწყდა, რომ სულიკო თორთლაძის სახელი ეწოდოს ნადიკვრის III ქუჩის დარჩენილ მონაკვეთს.

ლევან აბაშიძემ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი წარმოადგინა. მისი განცხადებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის წერილის საფუძველზე საკითხის შესწავლის პროცესში აღმოჩნდა, რომ ნავთლუღის I დასახლების VIII შესახვევის მონაკვეთი მდებარეობს ელისაბედ ორბელიანის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის ჩიხს.

საზოგადო მოღვაწის, ელისაბედ ორბელიანის სახელი გიორგი მათიაშვილის ქუჩას 2108 წელს მიენიჭა.

კომისიამ საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

ლევან აბაშიძის განცხადებით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ გეოგრაფიული ობიექტების საველე პირობებში დამუშავებისა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან კონსულტაციების ფარგლებში დადგინდა, რომ ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩას არ გააჩნია ერთი დასაწყისი და დასასრული, ქუჩის გარკვეული მონაკვეთები ერთგვარი ქსელის სახით იყო სახელდებული, შეუძლებელი იყო ტერიტორიის დამისამართება.

ქსელის შესწავლის პროცესში ასევე დგინდება, რომ ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის IV შესახვევი მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას საქარის ქუჩასთან. შესახვევს გეგმარებითი კავშირი არ აქვს ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩასთან და მიზანშეწონილია

მისი დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბება, რათა მოწესრიგდეს ნუმერაცია და განთავსდეს სამისამართე აბრები.

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2023 წელს ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ შესახვევს აკადემიკოს გივი ცინცაძის სახელი მიანიჭა. აკადემიკოს ნანა ხაზარაძის სახელი კი ეწოდა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ივანე მიჩურინის ქუჩას.

ლევან აბაშიძის განცხადებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 10/032027469-03 წერილის საფუძველზე, კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიამ საკითხის შესწავლის დროს აქცენტი გააკეთა შესახვევის მიმდებარედ სახელდებულ ქუჩებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის IV შესახვევისთვის აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის სახელის მინიჭება.

სამგორის რაიონში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს კი ძირითადი ქუჩის, მიხეილ გრიგორაშვილის I შესახვევის სახელი მიენიჭება. მიხეილ გრიგორაშვილი გამოჩენილი ქართველი ავიაინჟინერი იყო. ცხოვრობდა აშშ-ში და წარმატებით მოღვაწეობდა თავის დროზე რუსეთის, შემდეგ აშშ-ს და კანადის ავიაციებში.

დღის წესრიგით წარმოდგენილი ბოლო საკითხი სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩის გავრცელების არეალის კორექტირებას და ანდრია გუგუშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის კორნელი სანაძის სახელის მინიჭებას ეხება.

ლევან აბაშიძის განმარტებით, კორნელი სანაძის ქუჩა მდებარეობს სამგორის რაიონში და ერთმანეთთან აკავშირებს ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩას და კახეთის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიებს. 2011 წლის #111 დადგენილების გამოცემის მომენტში, დღევანდელი კორნელი სანაძის #49 მისამართის მიმდებარედ იკვეთებოდა გზათა ქსელი, რომელზეც სახელდება განხორციელდა. დღეის მდგომარეობით დგინდება, რომ აღნიშნულ მონაკვეთზე, რომელიც მოიცავს დაახლოებით 50 მეტრს, ფაქტობრივი გზა აღარ არსებობს. საგზაო ინფრასტრუქტურა და სერვიტუტის ხელშეკრულებით დადასტურებული გზა გადანაცვლებულია სახელდებული მონაკვეთიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 40 მეტრით.

ხსენებულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია 2011 წელს სახელდებული ტერიტორია შესაბამისობაში მოვიდეს ფაქტობრივ მდგომარეობასთან, რათა ქუჩის უწყვეტობა და ნუმერაციის თანამიმდევრულობა შენარჩუნდეს. ვინაიდან ქუჩის გავრცელების არეალის კორექტირებით იცვლება გზის მოხვევის კუთხეც,

უწყვეტობის შესანარჩუნებლად საჭირო ხდება მიმდებარედ არსებული ანდრია გუგუშვილის ქუჩის დასასრულში არსებული დაახლოებით 30 მეტრიანი მონაკვეთისთვის ასევე კორნელი სანაძის სახელის დარქმევა.

ლევან აბამიძემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს საკითხების განხილვის პროცესში აქტიური ჩართულობისთვის და რჩევომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ლევან აბამიძე